ინფორმაცია პროევროპული აქციების მონაწილეების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმდინარე რეპრესიების შესახებ საქართველოში

ნაწილი IX

(1 ოქტომბერი 20 ნოემბერი, 2025)

საინფორმაციო მასალა მომზადებულია ორგანიზაციების - "საქართველოს ევროპული ორბიტა" და საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ და ეფუძნება საჯაროდ გავრცელებულ წყაროებს.

გთხოვთ, იხილოთ წამების, არაადამიანური ან ღირსებისშემლახავი მოპყრობის მსხვერპლთა, ძალადობის სამიზნე ჟურნალისტთა და პოლიტიკური მოტივებით დაპატიმრებული პირების მონაცემთა ბაზები შემდეგ ბმულზე: https://europeanorbit.ge/eng/news/39

- **პროტესტის მიმდინარეობა**

საქართველოში გრძელდება საპროტესტო აქციები, რომელიც 2025 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით 358 დღეა უწყვეტად მიმდინარეობს. აქციის მონაწილეები აპროტესტებენ პარტია "ქართული ოცნების" მიერ საქართველოს ევროინტეგრაციის კურსის შეჩერების გადაწყვეტილებას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოქალაქეები, მათ წინააღმდეგ გამოყენებული სასტიკი ფიზიკური, საპატიმრო და ფინანსური რეპრესიების მიუხედავად, ყოველდღიურად იკრიბებიან დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში და ითხოვენ საქართველოს ევროპული კურსის აღდგენას, ახალი სამართლიანი არჩევნების ჩატარებასა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას.

28 ოქტომბრიდან, პროტესტის ნიშნად, პარლამენტის წინ მიმდინარეობს შიმშილობის აქცია. 8 მოშიმშილის მდგომარეობა უკვე კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება.

მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა, ჟურნალისტთა, აქტივისტთა და პოლიტიკოსთა წინააღმდეგ ჩადენილი დოკუმენტირებული დანაშაულების არც ერთი ფაქტი არ გამოძიებულა და არავინ მიცემულა პასუხისგებაში.

- **პატიმრობები და სისხლის სამართლებრივი დევნა საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ**

2025 წლის 4 ოქტომბრამდე პატიმრობაში იყო საპროტესტო აქციებში მონაწილე 53 პირი, ხოლო 4 ოქტომბრის აქციასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის დევნა დამატებით დაიწყო 73 პირის მიმართ, მათგან - 61 პირს შეეფარდა პატიმრობა, 10 პირის მიმართ გამოყენებულია გირაო, ხოლო 2 პირზე გამოცხადებულია ძებნა.

ამ დროისთვის, სისხლის სამართლის გამოძიების ქვეშ იმყოფება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელი. ჯამში, პატიმრობაში იმყოფება 11 ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და ლიდერები, გირაო შეფარდებული აქვს 2 ოპოზიციონერ ლიდერს, ხოლო ერთი ლიდერის მიმართ გამოცხადდა ძებნა და მას დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა.

სააპელაციო სასამართლომ 2 წლიან პატიმრობაში დატოვა ჟურნალისტი მზია ამაღლობელიც, რომელმაც პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ევროკავშირის ადამიანის უფლებათა უმაღლესი ჯილდო, სახაროვის პრემია მიიღო.

- **ახალი სისხლის სამართლის დევნა პოლიტიკოსების წინააღმდეგ**

საქართველოს პროკურატურამ, 2025 წლის 6 ნოემბერს, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის, მათ შორის, ე.წ. საბოტაჟის ბრალდებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერის წინააღმდეგ, რომელთაგან 6 (ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გიორგი ვაშაძე ("სტრატეგია აღმაშენებელი"), ნიკა გვარამია ("ახალი"), ნიკა მელია ("ახალი"), ზურაბ ჯაფარიძე ("გირჩი - მეტი თავისუფლება"), ელენე ხოშტარია ("დროა") ისედაც ციხეშია, დანარჩენი 2-ის მიმართ (მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე ("ლელო") კი მილიონიანი გირაო იქნა გამოყენებული. წარდგენილი ბრალდებები 2-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ბრალი ოპოზიციონერ ლიდერებს, მათ შორის იმის გამოც წარედგინათ, რომ, პროკურატურის განცხადებით ისინი დასავლელ პარტნიორებს აწვდიდნენ ინფორმაციას „ქართული ოცნების" წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევების შესახებ.

მძიმე სისხლის სამართლებრივი ბრალი „ქართული ოცნების“ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ამჟამად ოპოზიციონერ ლიდერს, გერმანიაში ემიგრაციაში წასულ გიორგი გახარიასაც წარედგინა. მას ორი სისხლისსამართლებრივი ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა, რაც 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებები მოიცავს იმ პერიოდს, როცა გახარია მმართველ პარტიას წარმოადგენდა და სრული პარტიული მხარდაჭერით მოქმედებდა.

- **რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები**

„ქართული ოცნების“ პარლამენტმა 4 დღიანი ერთპარტიული განხილვის შედეგად გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი მორიგი საკანონმდებო ცვლილებები მიიღო, რომელიც ისეთი არაძალადობრივი გამოხატვის ფორმებისთვის, როგორიცაა პირბადის ტარება, ან ქუჩის გადაკეტვა, სასჯელად - 15 დღემდე პატიმრობას, ხოლო განმეორების შემთხვევაში 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ეუთო/ოდირის შეფასებით, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაში არასათანადო ჩარევას წარმოადგენს, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით და უნდა გაუქმდეს.

ახალი რეგულაციების ამოქმედებისთანავე, პოლიციამ დააკავა მშვიდობიანი მონაწილეები, რაც კვალდაკვალ მიჰყვა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან წინასწარ გაცხადებულ მიზანს - პროტესტის ჩახშობის შესახებ.

”ქართული ოცნებამ”, ასევე, დააინიცირა ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, რომლის თანახმადაც, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები აღარ შეიქმნება. ამით, არჩევნებში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება ფაქტობრივად წაერთვა საქართველოს მილიონზე მეტ ემიგრანტ მოქალაქეს.

- **ადმინისტრაციული პატიმრობები აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, როგორც რეპრესიის ფორმა**

ზემოაღნიშნული კანონების მიღების შემდგომ, “გზის გადაკეტვის” ბრალდებით 15 დღემდე პატიმრობა 120-ზე მეტ პროტესტის მონაწილეს. დაკავებულების ნაწილი პატიმრობაში ორჯერ და სამჯერ გაუშვეს, პარალელურად, ასეულობით ადამიანს მძიმე ფინანსური სანქცია დაუწესეს, მათ შორის, ერთ აქტივისტს თითქმის მეოთხედი მილიონი ლარის ოდენობით. დრაკონული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, გზის მეორედ

გადაკეტვისთვის 61 წლის მოქალაქეს სისხლის სამართლის წესით 1 წლამდე პატიმრობა ელის. იგი უკანონოდ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, რის გამოც პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა.

გზის გადაკეტვის ბრალდებით, 1-დან 14 დღემდე პატიმრობას უფარდებენ დევნილებს, პენსიონერებს, პოეტებს, მხატვრებს, მწერლებს, გამომცემლებს, მასწავლებლებს, რეჟისორებს, ექიმებს, ჟურნალისტებს, ასევე უცხოელებს. რეპრესია შეეხო მთლიანად ოჯახებს, გზის გადაკეტვის ბრალდებით სასამართლომ ქვეყანაში დიპლომატიური მისიით მყოფ ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც დააჯარიმა.

- **ფიზიკური თავდასხმები სამოქალაქო აქტივისტებზე**

სამოქალაქო აქტივისტებისა და პროტესტის მონაწილეთა მიმართ გრძელდება ჩასაფრების, თავდასხმისა და ფიზიკური ანგარიშსწორების პრაქტიკა ე.წ. "ტიტუშკების" მხრიდან. აღნიშნული ფაქტების გამოძიება და თავდამსხმელთა პასუხისგებაში მიცემა არ ხდება.

- **ძალადობა და ღირსების შემლახავი მოპყრობა დაკავებულთა მიმართ**

კვლავ გრძელდება დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა მიმართ ღირსების შემლახველი მოპყრობა, კერძოდ, პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა გაშიშვლების პრაქტიკა. მსგავსი ღირსების შემლახავი პრაქტიკა გამოიყენეს 75 წლის პენსიონერის წინააღმდეგაც.

პატიმარ ქალებს მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია. ერთ-ერთ მათგანს ჯანმრთელობის უკიდურესად გართულებამდე არ მიეცა ადეკვატური სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა, პატიმარი ქალები საუბრობენ, ასევე, არაადამიანური მოპყრობის შესახებ. სინდისის პატიმარი ჟურნალისტი ქალი, მზია ამაღლობელი კი მხედველობის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. დაკავებულები, საუბრობენ, ასევე, პოლიციის მხრიდან მხრიდან ფიზიკურ ანგარიშსწორებაზეც.

- **4 ოქტომბრის მოვლენები**

4 ოქტომბერს თბილისში თავისუფლების მოედანსა და რუსთაველის გამზირზე მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორებმა შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ხელისუფლების ლეგიტიმურობის დასასრული გამოაცხადეს. ამის შემდგომ, ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მოუწოდა დემონსტრანტების ნაწილს პრეზიდენტის

სასახლესთან მისულიყვნენ და სასახლის გასაღების გადმოცემა მოეთხოვათ. დემონსტრანტების ნაწილმა სასახლის ღობე მარტივად მოშალა და ეზოში შევიდა. სასახლეში მობილიზებულმა სპეცრაზმმა მათ წინააღმდეგ წიწაკის სპრეი გამოიყენა. ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, არსებობს ეჭვი, რომ სასახლის ღობე სავარაუდოდ, წინასწარ იყო გადაჭრილი, რაც შესაძლოა „ქართული ოცნების" მიერ აქციის ორგანიზატორებისთვის "მახის დაგებაზე" მიუთითებდეს.

პოლიტკოსების უმრავლესობა, მეხუთე პრეზიდენტის ჩათვლით გაემიჯნა მომხდარს და პროვოკაციად შეაფასა.

„ქართული ოცნების" პროკურატურის მხრიდან მომხდარს განგრძობადი საინფორმაციო ტერორი და ყოველდღიური დაკავებები მოჰყვა. 4 ოქტომბრის არეულობებთან დაკავშირებით დაკავებულია 61 ადამიანი, მათ შორის აქციის ხუთი ორგანიზატორი.

- **პოლიტიკური პარტიების და ფიზიკური პირების პოლიტიკური უფლებების აკრძალვა**

„ქართული ოცნების" პარლამენტმა ერთპარტიულად, 4 დღეში მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რითიც არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ პარტიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირებს უვადოდ უკრძალავს პარტიულ საქმიანობას, პასიურ საარჩევნო უფლებას და საჯარო თანამდებობების დაკავების უფლებას.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე „ქართულმა ოცნებამ" მის მიერ კონტროლირებად საკონსტიტუციო სასამართლოს ყველაზე მსხვილი სამი ოპოზიციური პარტიის აკრძალვის სარჩელით უკვე მიმართა.

- **რეპრესიები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ**

ანტიკორუფციული ბიურო აგრძელებს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას. ბიურომ სექტემბრიდან 100-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის "მონიტორინგი" დაიწყო, იმ რეპრესიული საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძელზე, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით გარანტირებულ ძირითად უფლებებს.

„ქართული ოცნების" მიერ კონტროლირებადმა სასამართლოებმა დახურულ სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დავალდებულეს ბიუროს მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია, მათი საქმიანობის

შინაარსობრივი და ფინანსური მონაცემების შესახებ, მათ შორის, პირადი მონაცემები, პროფესიული საიდუმლოებები, რაც უპრეცედენტო ჩარევაა სამოქალაქო სექტორის დამოუკიდებლობაში. ამასთან, ბიუროს მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, ორგანიზაციების ხელმძღვანელების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველია. შედეგად, სამოქალაქო სექტორზე დგას არჩევანის წინაშე, მიაწოდოს პერსონალური და პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ბიუროს, ან გახდეს სისხლის სამართლის დევნის ობიექტი.

დამატებით, სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ უკვე მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი გამოძიებაც ე.წ. საბოტაჟის საქმეზე, დაყადაღებულია 7 ორგანიზაციის საბანკო ანგარიში, დაკითხული არიან წამყვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. გენერალური პროკურორის მიერ გაკეთებული განცხადება მიანიშნებს, რომ შესაძლოა დაიწყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ლიდერების წინააღმდეგ დევნა ე.წ. "საბოტაჟის" ბრალით.

- **რეპრესიები მედიის წინააღმდეგ**

მედია „ქართული ოცნებისგან" შექმნილი რეპრესიული გარემოს გამო შევიწროვებისა და მძიმე ფინანსური კრიზისის პირობებში, დახურვის ზღვარზე მუშაობს. გრძელდება დამოუკიდებელი, კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების მიმართ სხვადასხვა ტიპის ძალადობის, დაშინების, მუქარის, შევიწროების, დევნისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში სხვადასხვა ტიპის ხელშეშლის მანკიერი პრაქტიკა. კომუნიკაციების მარეგლირებელმა ეროვნულმა კომისიამ მაუწყებლებს, მათ შორის კრიტიკულ ტელევიზია „ფორმულას", უცხოური ძალისგან დაფინანსების მიღების შეწყვეტა დაავალა.

გარდა ფინანსური წნეხისა, ჟურნალისტები იდევნებიან ფიზიკურად და ხვდებიან ციხეში. დამოუკიდებელი, კრიტიკული მედიის 11 წარმომადგენელი დააკავეს ადმინისტრაციული წესით. ევროსაბჭოს „ჟურნალისტების უსაფრთხოების პლატფორმამ" ქარტველი ჟურნალისტების დევნის შემთხვევებზე არაერთხელ გამოსცა განგაშის სიგნალი.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში, ჟურნალისტის, მედიასაშუალებებისა და მედიის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ მომხდარი 434 ინციდენტი აღრიცხა.

ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას უზღუდავენ პარლამენტის შენობაშიც, მათ შორის, კრიტიკული კითხვის დასმისა თუ ვიდეოკადრის გადაღების უფლებას.

„რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე“ პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი პრესის თავისუფლების მიმტაცებელთა 2025 წლის რეესტრში შეიყვანა.

- **უმაღლესი განათლების სისტემის კონტროლი**

“ქართულმა ოცნებამ” წარმოადგინა განათლების სისტემის რეფორმის ოთხ გვერდიანი კონცეფცია, რომელიც აკადემიური სფეროს წარმომადგენლების, განათლების სპეციალისტების ჩართულობის და კონსულტაციების გარეშე, სამთავრობო კომისიის არაპროფესიულმა შემადგენლობამ შეიმუშავა. ექსპერტების მოსაზრებით, კონცეფცია პრაქტიკულად აუქმებს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტს და უმაღლესი განათლების სფეროს დამორჩილებასა და კონტროლს ისახავს მიზნად.

პოლიტიკური, პროპაგანდისტული და სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება იმ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებზე, სადაც კრიტიკული და თავისუფალი აზრი ისმის. თავდასხმის განსაკუთრებული სამიზნე გახდა “საქართველოს უნივერსიტეტი”, რომლის წინააღმდეგად მიმდინარეობს როგორც დეზინფორმაციული პროპაგანდა, ასევე, დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის დევნა. არსებობს საფრტხე, რომ დაყადარდეს უნივერსიტეტის ქონება და ანგარიშები, რაც შეუძლებელს გახდის მის ფუნქციონირებას.

საგანგაშოა, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების 12 წლიანი ხანგრძლივობის 11 წლამდე შემცირების დაანონსებაც, რაც ქვეყნის ბოლონიის პროცესიდან გამოთიშვის რისკს ქმნის და ქართველი მოსწავლეებისთვის ევროპულ უმაღლეს განათლებასთან წვდომის რადიკალურად გაუარესებას გამოიწვევს.

- **რეპრესიები და ანტიდემოკრატიული ცვლილებები საჯარო სექტორში**

გრძელდება პოლიტიკური ნიშნით, კრიტიკული პოზიციის მქონე პირების სამსახურიდან გათავისუფლების პრაქტიკა. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაათავისუფლეს ექიმი, რომელმა უკანონოდ დაკავებულ ჟურნალისტ მზია ამაღლობელის საქმეზე დაცვის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი ჩვენება მისცა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობის თქმით, ჯანდაცვის სამინისტროდან არ მიიღეს თანხმობა ამ ექიმთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაზე.

1 ნოემბრიდან ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საჯარო მოსამსახურეებს აეკრძალათ სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობა ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე. აღნიშნული მექანიზმი საჯარო სამსახურში დასაქმებულთა მეტი კონტრტოლისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

- **ანტიდასავლური პროპაგანდა და ნარატივები**

„ქართული ოცნება“ და მისი საინფორმაციო საშუალებები აგრძელებენ მიზანმიმართულ და სისტემურ პროპაგანდას დასავლური ინსტიტუტების, სახელმწიფოების, ელჩებისა და მაღალი თანამდებოების პირების წინააღმდეგ.

„ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა 4 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ „დამხობისა და ძალადობის“ ირიბ მხარდაჭერაში დაადანაშაულა ქვეყნის დასავლელი პარტნიორები, მათ შორის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები და განაცხადა, რომ “ევროპა არ არის პანაცეა, ევროპა იყო ბატონი გებელსიც”, ხოლო „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ პროტესტში მონაწილეობისთვის დაკავებულ ადამიანებს ტერორისტი, ხოლო ბრიუსელს ტერორისტების მხარდამჭერი უწოდა.

ანტიდასავლურ პოლიტიკის პარალელურად, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული ორგანიზაციებისა და პირების გავლით ხდება “ნეიტრალიტეტის” იდეის აქტუალიზება. ქართული ოცნების დაკავშირებული ორგანიზაცია "ნეიტრალური საქართველო" ევროინტეგრაციაზე უარის თქმასა და კონსტიტუციიდან 78-ე მუხლის ამოღებას ლობირებენ.

რუსთაველის საპროტესტო მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით სამთავრობო ტელეკომპანია “იმედმა” ევროკომისია იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების უკანონო დაფინანსებაში დაადანაშაულა, რომლებიც, მისი თქმით, ანტისახელისუფლებო საპროტესტო აქციების უკან დგანან. სამთავრობო პროპაგანდისტულმა მედიებმა შექმნეს დეზინფორმაცია, თითქოსდა სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივისტებს საჯარო გამოსვლებს “ბრიუსელში” უწერენ, რასაც “ქართული ოცნების” წარმომადგენლები სინქრონულად და კოორდინირებულად გამოეხმაურნენ.

- **საერთაშორისო იზოლაცია**

ევროკომისიამ გაფართოების შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც უკიდურესად უარყოფითაადაა შეფასებული „ქართული ოცნების“ მიერ გადადმული ადტიდემოკრატიული ნაბიჯები, რამაც სერიოზული დემოკრატიული უკუსვლა გამოიწვია და შედეგად, საქართველოს „კანდიდატი ქვეყნის მხოლოდ სახელი აქვს“.

ევროინტეგრაციის გზაზე რადიკალური რეგრესის შესაბამისად, ქვეყანას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესაძლო შეჩერება ემუქრება. საქართველოს მთავრობა არ მიიწვიეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე, ასევე, ბრიუსელში დაგეგმილ ევროკომისიის გაფართოების ფორუმზე.

აშშ-ის, ევროკავშირის, ცალკეული წევრი ქვეყნების, ევროპელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო ბრალდებების, შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციის გამო, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები დაიბარეს, ხოლო გერმანიამ საკუთარი ელჩი კონსულტაციებზე გაიწვია, რაც გერმანიასთან თანამედროვე საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

უარყოფითი საერთაშორისო რეაგირება მოჰყვა 2025 წლის 4 ოქტომბერს, რეპრესიულ და ძალადობრივ გარემოში, ძირითადი ოპოზიციური ჯგუფების მონაწილეობის გარეშე ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. ევროკავშირის მაღალჩინოსნების შეფასებით, 4 ოქტომბრის არჩევნები „განსხვავებული აზრის ფართომასშტაბიანი ჩახშობის გარემოში ჩატარდა“.

დასავლურმა ქვეყნებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოში დაჯარიმებულ ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და მიესალმნენ მის მხარდაჭერას გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მიმართ.

ისტორიაში პირველად, ევრონესტის ანსამბლეის შეხვედრებს “ქართულმა ოცნების” დელეგაცია კრიტიკის გამო ბოიკოტის ნიშნად არ დაესწრო.